

ପ୍ରାଚୀନତା.

„ლიაჭური ყარწენათ“.

1.

„კისფერი ყანწებით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში. ჩვენი ტეზისი, ორმ სი-
მცოლიშმი. როგორც შესავალი, არ ყოფილა „ყანწებაში“, უდავოლ მიიღეს. აქ გასაკვირია
დათანხმება კი არა, უფრო ის გაუგებობა, რომელიც უწინ არსებობდა ამ საგანძე. ახალი
შესავალის გამოსვლა, ყოველთვის კადნიერებაა; რაც უნდა უიმედოთ ძელი იყოს ძველი, იმას
უნდა სიცოცხლე და უკანასკნელად მაინც ითამაშებს ბრძოლის კომედიას. ხაზით ხაზამდე
გამეორდა ამბავი, რომელიც წინ უსწრობდა სიმცოლიშმის გამოსვლას სხვა ქვეყნებში.
რემი დე გურმონი გვარწმუნებეს, რომ ბრძო, ყოველთვის აპატიებს კადნიერებას, თუ უკვე
არი პრეცედენტები ისტორიის ოქმებში ჩატანილი, მაგრამ ქართული ბრძო გაირჩევა
სხვისგან იმით, რომ ნაკლებად იცნობს ისტორიის ოქმებს, სამაგიეროთ სხვა
თვისებები, რომელნიც უფრო ახასიათებენ ბრძოს, იმას ზედმეტიც აქვს. თავ-
აშვებულ წყევაში კიდევ გაისმა საგინებელად სახელები, რომელთაც უკვე მოასწრეს სხვაგან
წმიდანებათ გახთომა. რა ანაქრონიშმი ჰქონის იმიდან, რომ ვერლენის, ბოლლერის და
სტეფან მალარმეს სახელებს კიდევ სჭირია დაცვა!... ბრძოლა „ყანწების“ წრნაალმდევ საგან-
გებოთ გადატანილ იქნა სულ სხვა სიკრცეზე. სიბრიუვებ მოკიდა ხელი და გაუშვა ჩვენ
წინაალმდევ ფრთიანი სიტყვა „ფუტურისტობა“, ამ სიტყვას კი ისე ქონდა გაძრახული სა-
ხელი, რომ იქცა იმ ქვად, რომელიც ლაშობდა ჩვენ წაქცევას. რასაკვირველია ჩვენ ყოველ-
თვის გვერდა მხედველობაში, რომ საქართველოში სიმცოლიშმი გამოდის. მაშინ, როცა
ის სხვაგან მებრძოლ შეკლიდან უკვე შეიქნა აკადემიური, რომ მისი მწუხრი იგრძნეს
თვითონ ეპიგრანებმა, და ახლა გამოდის ახალი შეკლი ფუტურიშმის. მაგრამ ეს გარემოებას
სრულიადაც არ სცვლის. გაკვრით ჩვენ პირველ წერილში შევეხეთ ჩვენ განწყობილებას
ფუტურიშმთან, როცა შევაერთით სახელები რუსთაველის და სტეფან მალარმესი, უკა-
ნასკნელის, როგორც ჯერ გაუხსნელ ფორმულების ავტორის. ევროპის ფუტურიშმი განაგრძ-
ძობს მალარმეს. იქნება ეს გალრმავება სიმცოლიშმის თუ დაწყება ფუტურიშმის სულ ერთია,
აქ კომენტატორი ლირს ნოვატორად. ერთი კი ყოველთვის უთუოა: ფუტურიშმი ვერას-
დროს ვერ ეტყვის უარს იმ კულტურულ და ე'ტეტიურ მ ლწევათ. რითაც გაამდიდრა
სიმცოლიშმება აზროვნება. მართალია ევროპის ფუტურიშმის მემარცხნე ფრაქცია ქადაქებას
იწყებს ნგრევიდან, მაგრამ ის იმდენად ელასტიურია. რომ არ დაგაეცვებთ ახალ ლიტებულებათა
შეპერნაში. ყოველ შემთხვევაში, იმგვარი განწყობილება და გავება ამის, როგორც არსე-
ბობს რუსეთში და ამიტომ ჩვენშიაც. სრულიად მოკლებული არის ნამდვილ სახეს. რაც
შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას რუსულ ფუტურიშმთან, ის ისეთია, როგორიც რუსი სი-
მცოლისტების. ჯერ-ჯერობით, თუ შეიძლება მისი კვალიფიკაცია, ის ერთი სახეა იმ
მრავალ-მხრივი მოვლენის, რომელსაც რუსული სინამდვილით ეწოდდება „ხულიგანობა“.
ჩვენ არ ვიცით არაფერი იმაზე უფრო უბალრუკი. როგორც მათი იდეალოგია. ძალიან
დამახასიათებელია ისიც, რომ რუსეთის ფუტურიშმი თავის გენეალოგიას იწყებს ნიპი-
ლისტ ბაზაროვიდან. ყოველ შემთხვევაში ეს ექვსი წელიწადი, რაც რუსის ფუტურისტები
მწერლობენ არ გვაძლევს საშვალებას, რომ იმათხე აზრი გამოვიცვალოთ. ზოგიერთი ნი-
კიერი ახალგაზრდა არ არი მისაღები მხედველობაში, ცინიც მოკლებული არიან ორიგი-
ნალობას, მათი დაგვიანებული გიდამდერება რემბოსი და ლაფორგის, მხოლოდ რუსის
სიმცოლისტების დანაკლისს აჩვენებენ. ამასთან ეს იმდენად პირადული უბედურება არ არი,
როგორც ხატიონალი. ხოლო ამაზე მაშინ, როცა შევეხებით რუსეთის სიმცოლიშმს...

2.

ცისფერი ყანწები შეეძლო გერბად აელო მთელ ჭართულ ხელოვნებას. ეს სიტყვები
სიმეონიურად ანიშნავენ პეშმარტ ჭართულ მსოფლმხედველობას. „ცისფერი- ფერია
რომანტიზმის, მისი ეშბლება. ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის.
ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. ფილოსოფიურმა იდეა-

იზეპა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ უვავილს“ ღერო წითელი ქონა. ქართველებისთვის კა და მიწა საშუალაშოდ არასდროს ირ გაყრილან. უწინ ჩვენ ვიყა-
ოთ წარმართები—ხოლო რელიგიური გერერიზმი შორს იყო ჩვენგან. მრავალი, ორგანი-
ზულ აზიდან, რომელშიც დაიხჩო ალექსანდრიული შეკლი ჩვენ. მარც მოვახერხეთ
ბრწნელად თავის დაღწევა. შემდეგ ჩვენ შევიქენით ქრისტიანები, ხოლო მისი ასკეტური
ილოსოფია ჩვენგან შორს იყო, ჩვენ დავრჩით ისევ წარმართები, შეიძლება იმიტომ, რომ
რამარისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდი. ჩვენ სული უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა და
აეული კიდევ უსულოთ. გულგრილად ვუცემოდით ბიზანტიელ ბერების დოგმატიურ
კურნირს და გულგრილად ვუცემოთ ახლაც შატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს. შეი-
ლება ჩვენში კიდეც მოხდა ის ფაქტი, რომელზედაც სხვაგან ქადაქებენ ნეოქრისტიანები.
ვენში უკვე შერიგდენ სული და ხორცი და ეს არი მესამე ალთქმა, ახალი სულის ალთქმა.
არსულში ყველაზე უფრო პლატონი გვიყვარდა და სიყვარული საქმითაც დავამტკიცეთ,
მაზე ამბობს რუსთაველი შემდეგ ფილოსოფიურ სისტემებში მხოლოდ ნეოპლატონიზმი
იწამეთ და აგრეთვე იყო რისთვისაც. უკანასკნელი ალთქმა სიკვდილის წინ სოკრატის,
ისი ზმანება მუსიკაზე და შემდეგ მისი საყვარელი მოწაფის აპოლოგია მუსიკაში შვების,
ვენ ყველაზე ახლო მივიღეთ სულთან.

— პკვიანური შვება ხალხთა, აი სახელი კულტურის, ამბობს ვიაჩესლავ ივანოვი. მის პირზე სიტყვებს საშინელი ირონია ეძლევა. რუსული ხელოვნება ჯერ კიდევ მარხულობს და მწერალებს იოანესავით.

— ხალხთა პკვიანური შვება.

..და იშვა ქართველი ერი.
სისი ხელოვნება ერთი გამწევი ნადიმია. ხშირად იყო უამიანობა და თავზე გვაჲვავდე-
ბოდენ ყვითელი ურდოები, ხოლო ქართული ხელოვნების ნადიმი. არასდროს არ ყოფილა
„ნადიმი უამიანობის დროს“, სადაც თამაღათ არი სასოწარკვეთა.

რუსთაველის ქებას მძლე სიყვარულისას საუკუნოებში ეხმობოდენ თეიმურაზი, ბესიკი, ალ-ჯავჭავაძე... და შემდეგ ვაუა ფშაველა, ეს სასწაული და სიმბოლო უკანასკნელი საუკუნის, კეცხლიანი ჩვენება საქართველოს მარადი სულის...

3.

ქართული ხელოვნების საკითხი — საკითხია ქართული კულტურის. ბევრ საუკუნეში წინ იწყება მისი ისტორია და შეიძლება ეს მათუსალობა იყოს მიზეზი, რომ ის სათანიდოთ არ არი შესწავლილი. ის შემთხვევითი ცნობები, რომელნიც დაგვიტოვეს ქველმა რომაულმა და ბერძენმა მწერლებმა, რომელთაც ჩვენ შევხვდებით აგრეთვე საკუთარ ქრონიკებში დაუცხა მეცნიერთა ნაკვლევებში, მხოლოდ დაახლოვებით წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენ საუცხა მეცნიერთა ნაკვლევებში, მხოლოდ დაახლოვებით წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენ საუცხა. ქართული კულტურა ჯერ არ შექმნილა საკუთარ შედარებითი მეტოდით ძიების. რა არ არ არი კვაკავშირებდა ჩვენ მეზობლებთან, ან რითი გაუირჩეოდით მათგან.. მეტიც.. ჯერ არ არ ამიტომ ძნელია ხელმძღვანელობა კრიტიკული სრულიად შეისწავლელი მასალით. ძველი ამიტომ ძნელია ხელმძღვანელობა კრიტიკული სრულიად შეისწავლელი მასალით. ძველი კართული მწერლობა იწყება რუსულ იწერლობასთან ან და ძველ ქართულ ხელოვნებასთან, რომელსაც ქონდა, როგორც თავის სახე, სტილი, აგრეთვე თავის ფრენისფრა. კართული მწერლობა იწყება რუსთაველით და თავდება ბესიკით, შეიძლება ეს ისტორიული მართალი არ იყოს. შეიძლება რუსთაველს წინამორბედებიც ყოლოდეს და პესიკის არა შემდეგაც არ მოჰკვდარიყოს ძველი ქართული მწერლობის სული, ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქ მხედველობაში მისაღებია მათი შემოქმედების ინტენსივობა, ამ თან პოეტში საქართველოში შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერგია. რუსთაველმა უარყო ბიზანტიური აქტერიკა. ეს უეპვო რუსთაველის მტრებისთვისაც, ამაზე საკითხიც არ დასმულია. რუსტერიკა, რუსთაველის მტრებისთვისაც, ამაზე საკითხიც არ დასმულია. რუსთაველის ლექსი, როგორც ადულებული ფოლადი, როგორც პირველი სიმღერა თავ-აწეული ერის ბებერ ბიზანტიას ვერ დაენათესავება. რუსთაველს პირი აღმოსავლეთისაკენ აქვს და აქედან მოიტანეს იმაზე იერიშები. ყოველი ძიება რუსთაველის ორეულის აღმოჩენის, მხოლოდ მეცნიერულ ახირებით თუ აიხსნება. ის ვინც შეისწავლის რუსთაველის ლექსი, ვინც იგრძნობს მის შემოქმედების ენერგიას, მიხვდება მთელ იუვეტერობას მისი გვირგვინის მოხსნისას. რუსთაველიდან მარტო პროლოგი რომ დარჩენილიყო. შემოქმედი კრიტიკი

იქიდანაც იგრძნობდა გენის სუნთქვას. ანალოგიურ შემთხვევაში ევრიპიდებე ამ-
ბობს ინონკენტი ანენსკი: — უნდა წარმოიდგინო თავი ცოტათი მაინც პოეტად, როცა
პოეზიაზე ლაპარაკობ, მავთულები ამ ხელოვნების ძალიან ფაქიზია და სასაკილოა ლრუბ,
ლების მკერლის იქით ფერადების ძებნა...“

“ველის ტყაოსანის” პროლოგში საფუძველი ეყრდნა ქართულ პოეტიკას, რუსთაველისათვის
შაირობა სიბრძნის ერთი დარგია სალვოთო სალვოთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი
მარჯი... ამ ტექსტს ბევრი ინკვიზიტორული კომენტარია მიუღია, მაგრამ უბრალო
გრამატიკული და ლოგიური ანალიზი გულისხმობს. რომ რუსთაველისთვის სასმენლად
მარგებლობა მოკლებულია იმ ვულგარულ გაგებას. რომელიც მისცეს მას უტილიტარისტება.
ეს ტეტიკაში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რა-
შიც ის ხელება ედგარ პოს და პოლ ვერლენს. რუსთაველის შემდეგ უდიდესი პოეტი იყო
ბესიკი, თუ რუსთაველი თავის საგმირო მოტივებით იწვევს ანალოგიას ელინიზმის
კლასიკურ პერიოდთან, ბესიკი ალექსანდრიული შეკლის პოეტია.

ბესიკის ლირიკა — ლიტურგიაა შეყვარებული გულის და საქართველოში გული უსულოდ არ იყო. აღმოსავლეთის ორგიაზმი და ავხორცობა ბესიკში შეყენებულია ქართული კეთილშობილებით. ბესიკი აგძელებს რუსთაველის პოეტიკას. არ არი სხვა პოეტი, რომელსაც ისე გაეწმიდოს ლირიკული ტემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა. მისი რითმის იმდიდრე, მკრელი ეპიტეტი, ნაჩლილთა, ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალურ ენერგიის ჯადოქრობა იმას იყვანს ქართულ სიმვოლიზმის მამათ-მთავრად, როგორც ფრანგმა სიმოლისტებმა — აიყვანეს რონსარი და რუსებმა თ. ტიურჩივი. თუ რა სიტყვის უონგლერი მალებოდა ბესიკში ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბესიკმა დაასწრო ტეოდორ დე ბანვილს თქვა: პოეტისთვის ყველაზე უფრო საინტერესო წიგნი ლექსიკონია... ბესიკი ეხმავრობდა საქართველოს ავონიის დროს. ბევრი და მათ შორის პლატონ იოსე-ლიანი უსაყვედურებს იმას უამიანობის დროს ნადიმს და სიყვარულის ქებას. გასიგებია უვედური პედანტის, მაგრამ შეიძლება ამაში იმალებოდეს ძვირფასი ჩვეულება ქართული კეშიის, ბესიკისგან პოლიტიკის და პოეზიის სფეროთა გაყოფა, მით უფრო დასაფა-ებელია. რომ ის იყო კანცელერი იმერეთის მეფის სოლომონის და დაილუპა დიპლომატიურ ისის ასრულების დროს ქ. ასსაში, მაგრამ შეიძლება ეს უფრო მომასწავებელია

4.

მეცნიერებულის დასაწყისში ხდება უკანასკნელი ტეხილი ქართული პოლიტიკური, ცხოვრების, რომელმაც განსაზღვრა მთელი შემდეგი ყოფნა. საქართველომ დაკარგა თვის სახე, როგორც სახელმწიფო უკანასკნელი ურთიერთობის დღე თითო ლურსმანს უმატებს მის კუბოს. თანდათან მტკიცდება რუსეთის გავლენა ქართულ სამოქალაქო ცხოვრებაზე. ძველი ქართული სული, ჯერ მძლავრობს, მავრამ ალზგომის მაგიერ იფერ-ფლება. ლიტერატურის ისტორიით უმთავრესი ხაზები ამ მდგომარეობის ასე წარმოგვი-დგება. საუკუნის პირველ ხასევარში გამოდის შეკლა, რომელსაც ევროპიულ კლასიფიკა-ციით რომანტიზმი ეწოდება. ქართული რომანტიზმის „ცისფერ ყვავილს“ ლერი წითელი აქვს. ეს ნიშანი ძველი ქართული პოეზიის ტრადიციების. ერთი მხრივ ქართულ რომანტიკოსებს ეტყობათ გავლენა ევროპის და რუსეთის მწერლების: ბაირონის, ზატო-ბრიანის, პუშკინის, მეორე ჩხრივ ძველი ქართველი პოეტების, ყველაზე უფრო ბესიკის. ქართულმა გავლენამ სძლია უცხო გავლენას. მხოლოდ შორეული ელვით გაიარს აქ მელა-ნქოლია. რომ წარმოიდგენთ ბაირონის ამბოხებას, გის უსაზღვრო სევდას და დემონიზმს, ლეოპარდის და მიცემის პერიოდის და მისტიკიზმს, მიხვდებით, რომ თ-დი გრ. ორბე-ლიანი, ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი სხვა და სხვა პოლიუსის ხალხია. ალ. ჭავჭავაძეში ტირის ძველი აშეული. მისთვის მგრძნოლობა სჯობს, „ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა“ „ლოთებში“ ის იძლევა შედევრს, რომელიც რჩება ქართული ნადიმის რიტუალის აუცი-ლებელ საგნათ.

კინ თან ბქონდეთ ნება გულისა,
ბქმეთ სატბო სოფარელისა.

ეს გამოძახილია საუკუნეებში ქართული სულისა. გრ. ორბელიანი სამუდამოთ დარჩა დატყვე-
ვებული საიათ-ნოვას გულდამწველი სიტყვებით. ზის პოეზიას ისე არაფერი არ ახასიათებს.
როგორც „ლოპიანას მუხამბაზი“*. ნ. ბარათაშვილშიც გამოკრთის ბესიკი. მთელი წყება მისი

პირველი ლექსების ამ ნიშნის მვეუ მიღის. მისი პესიშიზმი განელებულია ქართული სულით, ცისკენ ისწრაფის, მიწას მაინც არ შორდება. რამ გამოიწვია მისი რომანტიკოსებში ჩარიცხვა? ისტორია ლიტერატურის დღემდე იტანჯება, რომ ვერ ნახა ფორმულა, რომელშიც მოემწყვდია მისი ახსნა. რომანტიზმი იმდენი აზრი არსებობს, რამდენსაც მისი სახელი უხსენებია, ამ შემთხვევაში არის ანალოგია სიმვოლიზმთან. ბევრი მეისტორიუ ივონებს პოეტის სიტყვებს: „რომანტიზმი ისეთია, როგორიც ჭინკა: ბევრს სჯერა ივი, არის რწმუნება, რომ ის არსებობს, მაგრამ სად არი თვისებები, როგორ დაედოს თითი?“ ჭოგიერთ ნიშნებს მაინც დაადვეს თითი როგორც: ინდივიდუალიზმს, ლირიზმს, მეტაფიზიკურ შეცნობას, ძიებას ლექსის და რიტმის სფეროში... ფრანგ კრიტიკოსს ბრიუნეტიერს, რომელსაც ყველაზე უფრო აინტერესებდა ამ ფორმულის ნახვა, გამოწვიდა ის, რომ რომანტიზმის დამახასიათებელ თვისებებად მიიღო ის, რაც ახასიათებს საზოგადოთ პოეზიას, როგორც ზევით ჩამოთვლილი ნიშნები. თ. კიტა აბაშიძეც, იმეორებს ამ ისტორიას თავის „ეტიუდებში,“ მხოლოდ ქართული რომანტიკოსების ნაციონალი ძველი პოეზიის ტრადიციები მიიღო სპარსულ გავლენად. აქამდე ქართული პოეზია კიდევ გრძნობს კავშირს ძველ პოეზიასთან, მათი შემაერთებელი სწორი ხაზი იღუნება, ბრუნდდება, მაგრამ გამოსავალი მაინც ძველში აქვს. ასე ვუახლოვდებით მესამოცე წლებს, სადაც ეს კავშირი სამუდამოდ წყდება და იქმნება ახალი იდეოლოგია..

ბესიკმა წინდაწინ იწინასწარმეტყველა, რომ „კრაზანები“ გააგდებდენ ქართულ ბალიდან. და ეს შალე მოხდა. სრულიად შემთხვევითი არ იყო ის, რომ სამოციან წლების თაობათა ომი პოეზიის გარშემო ატყდა. აქ არ არი მარტო თაობათა ბრძოლა, აქ უფრო კულტურათა ბრძოლაა: ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგების. ქართულ პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბალად... ილია ჭავჭავაძე შეიარაღებული რუსეთის „ესტეტიკის დამრღველთა“ არგუმენტით („ესტეტიკის დამრღველთა“ ვამბობ, რადგან ბელინსკი შევე ცნობილია, როგორც კანონიერი მამა „უზრდელი ბიჭის“ პისარევის რამდენად დამახასიათებელია ამისთვის ის ციტატა ბელინსკიდან, ილია ჭავჭავაძემ, რომ თავის ისტორიულ წერილს წინ-უძლვნა, სადაც ბელინსკი ჯავრობს იმაზე, რომ ლიტერატურა „ბალად“ იქცა. სადაც ხელთათმნიანი კავალერები ციკვავები:) გამოდის ბრძოლის დამწყებათ. ერთი ხმა არ ყოფილა შემდეგ მოდგმაში დამარცხებულთა დასაცავად. სამუდამოთ გადაწყვეტილად იცნის საკითხი. გრ. ორბელიანის ილელვება აქ ყველაზე უფრო გასაკებია, იმაში აიმღვრა კონსერვატორი ქართველი და ქართველი პოეტი. ილია ჭავჭავაძის მოქამათე ქალი, კნ. ბარბარე ჯორჯაძისა ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომ დაეცვა თავის პოზიცია. მის პოეტურ ფასა ისც ამტკიცებს. რომ მისი ლექსები უკვე დიდიხანია დაკიწყებას მიეცენ და დარჩა იმისგან მარტო „ოჯახის სამხარეულო,“ მაგრამ რამდენი სიმართლე იყო ამ შან გაზრდილ კულინარ ქალის „ანბანთა თეორეტიკაში“, ასე სასაცილოდ რომ აიგდო ილიამ. იყო გამარჯვება სრული „თერგდალეულთა“, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად. რუსთაველის და ბესიკის პოეზიის თვით მიზნობას იმათ უპასუხეს ცნობილი ფორმულებით. ილია ჭავჭავაძემ სამუდამოთ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“. და „ტკბილი ხმები“ აკაკი წერეთელი ათას ხვრელს იტოვებდა პოეტის დანიშნულებაზე: პოეტი შისთვის ხან „უზრუნველი პეპელა“ იყო, ხან „გარამოების საყვირი“. აკაკი წერეთელმა „გარამოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანკის ოპოზიციაზე და ადვოკატებზე დარჩება როგორც პოლიტიკური სატირის არა ნიჭიერი ნიმუშები. აკაკი სულ გაქრობიდან იმა იხსნა, რომ დაუახლოვდა ხალხის სულს და ნაციონალ ეპოსში ამონახა ლირიკული ტემები ხალხი კი ერთადერთი ინახავდა და ინახავს გაურუცნელ პოეზიის ტრადიციებს. იქ, სადაც აკაკი ლალატობს თავის იდეოლოგიას და მლერის შეუგნებლად, მხოლოდ ნახულობს თავისთავს. მისი პირველი ლექსი „საიდუმლო ბარათი“ თითქო სუნთქვას ქალის ცხელ უბის როცა აკაკი წარსულში იხედება იქაც პოულობს ძალას თავის ლალატისას და ნამდვირ პოეზიას ეზიარება. რაც შეხება აკაკის და ილიას პატრიოტულ ლირიკას, აქაც მათ საკმაოდ ვერ გააღრმავეს ტემა, რომ უკვდავი სახე შეეცათ სიმღერებისთვის. ეს იყოს საგან

შედევები წერილის, სადაც შედარებით გარკვეული იქნება პოლონერი მესიონიში და ქართული პატრიოტული ლიტრიკა. ამ დღიდან თანდათან ბაგრძება ჩვენში გავლენა რესული ხელოვნების. რომელსაც შორეული კავშირი ქონდა ნამდვილ ხელოვნებასთან და არაფერი საერთო არ ქონია კერძოთ ქართულთან. ჩვენ უარს არ ვყოფთ „მესამოციანეთა“ მწერლების საზოგადოებრივ დამსახურებას, მაგრამ იმათ სამაგიეროთ არ აქვთ ესტეტიური დაშახურება. თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათდამარხეს ქართული ლექსი.

ესლა შევ არ არის ბესიეს მოწიწება და სიყვარული რიტის და ფორმის, ლიტერატური აზრი ითვლება ლექსის სამკაულად და აյი, გრ. ორბელიანიც ჩაითრიეს ამ ტურნირში თავის „მუშა ბოჭულაძით“. მხოლოდ ერთს სული იურთქავს კულტურული ატავიშით ვაერა-ფერაველაში. ვაერა გაიარა მოელი ჩიგი რესულ შეკოლათა ვავლენისა, მაგრას მისმა გენიალმა ბუნებამ სძლია ეს შეაში. მართალია მისთევის არ იყო ლექსის ტეხნიკა და ხანდისნან ნაჯახით დათლილ წარმოდგენას ქმნიდა, მაგრამ იმაში იყო ძეველი სული და ის მაგიურად ილვიძებდა, როცა შეეხებოდა ქართულ ეპოსს. ვაერა დიდი პროტესტია ძეველი საქართველოსი და მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა. როგორც ამ წმადა მთას...

6.

რა გავლენა შეეძლო რესულ მწერლობას, როგორი იყო მისი სული?

ეგუებოდა ის ქართულ მსოფლმხედველობას? ვიაქესლავ ივანევი ამბობს: რესული ხელოვნება იმის მაგიერრომ ყოფილყო ყვავილი, იქცა ხორბალად. მხატვრობა გადაიჭცა კულტურულ მისიათ და სიტყვიერების დაწყებიდან მიიღო იერებიადის და სატირის სახე. ეს მისიონერობა და ცხოვრების დამრიგებლობა ამძიმებს რესის სულს, ამაბინჯებს მხატვრულ მუშაობის სიწმიდეს, ამდაბლებს წმიდა მხატვრულ პოტენციებს (როგორც ნეკრასოვი) ადამიანში ღუპავს მხატვარს (ლევ ტოლსტოი) და ღუპავს თვითონ ადამიანს (გოგოლი და რამდენი სხვა). და დიღხანს იმარხულებდა და იმწუხარებდა კიდევ ითანესავით რესული ხელოვნება. და დაუძახებდა თავის თავს „ხმად უდაბნოში“, რომ სიმვოლისტების არა: რესერის სიმვოლისტები თავიანთ დამსახურებას პოეზიაში ხედივენ იმ ერთ უბრალო, მაგრამ იმავე დროს არაუჩეულ რთულ საქმეში, რომ პოეზია გამოყვეს ლიტერატურიდან (დაიმახსოვრეს რა ვერლენის „de la musique avant toute chose...“), რომ აზიარეს ის კვლავ, როგორც სწორუფლიანი წევრი ხელოვნებათა ფერხულს: მუსიკას, მხატვრობას, სკულპტურას და ცეკვას. უწინ ლექსები ითვლებოდენ ლიტერატურის მხოლოდ ერთ დარგად და ამტკომ დამორჩილებული იყვენ საერთო პრინციპებს სიტყვიერ და ლოგიურ კანონისას. დეკადენტები მიხვდენ, რომ პოეზიას აქვს თავისი ენა, თავისი კანონი და ბევრი არა, რაც ირრაციონალია საერთო ლიტერატურის თვალთა ხედვით, რაციონალია, რაციონალია პოეზიაში, როგორც სიტყვის სპეციფიურ ხელოვნებაში, ან სპეციფიურ სიტყვაში, პოეზიამ დაბრუნა ძეველთა ძეველი უფლება, რომელიც წაართვა მწერლობამ... (ვ. ივანევი, წიგნი: „По эвакуации“).

შემდეგ ვამოჩნდა, რომ რესის სიმვოლისტებმაც ვერ აიცილეს რესულ მწერლობის იერებიადის ბედი. რესის სიმვოლისტებმაც გაათავეს ისევ უკალმიკური ხლისტობით“, როგორც ეძახის ტოლსტოის მოძღვრებას ფრანგი კრიტიკოსი უ. ლემეტრი.

დ. მერევეკვეცი არა გულწრფელად იმეორებს ლ. ტოლსტოის ისტორიას. არც ასე გვიან შ. ჰიპოსტა მისი გამო ცოდვად გამოაცხადა პოეზია. ასდრეი ბელი, პირველი იდეოლოგი სიმვოლიზმის, დღეს ირონიით ამბობს: სტეფანე მალარმესაც ქონდა სიმვოლიზმის თეორიათ და თეორიას კითხვით ნიშანს უსვამს და თან რესულად მასხრობს რემი დე გურმონზე. მთელი მისი გულისწყობა დაიმსახურეს ფრანგებმა მითი, რომ სიმვოლიზმი იმათ იცნეს პირველ ყოვლისა და ფრანგული ესტეტიური მისტიკიზმი ვერ ეგუება რესულ მისტიკას. ოთხი წლის წინად კი თვითონ ანდრეი ბელამ დაარსა „აკადემია პოეზიისა“, სადაც სწავლობდენ ჩიტოს და ლექსის საკითხებს. რესულ ხელოვნების საბედისწერო ბედი ერთნაირ ასნას იღებს პ. ჩაადაევიდან ვიდრე ვიაჩესლავ ივანევამდე. ეს საკითხი საერთო კულტურის და წარსულის გაკვეთილების. რესერი ამ შემთხვევაში მოკლებულია იმ კულტურას, რომელიც მეტკილოებით ჰქმის პიროვნებას. ეს საკითხი ელინიზმის და ბარბაროსობის ძალიან ძეველია, ვიაჩესლავ ივანევს გონია, რომ რესერი მაინც ფლადგენს

ელინიზმს და რესული ხელოვნება შეიქნება „სობორული“, მხოლოდ ანდრეი ბელიმ და მაქსიმ გორკიმ როცა განსკრიტეს წარსული ბურუსი, ერთად აღმაჩინეს; ყვითელი მონგოლები...

7.

„მესამოციანეთა“ მწერლების იოლი ხელით შამოტანილი რესული ხორბალი, ამი დის რესულ ქერად. ყოველი რესული არა თუ შეოლა, სექტაც კი იწვევს საქართველოში თავის სახეს: მონანიებული აზნაურები, ხალხოსნები, ნიპოლისტები... და ეს კიბე გრძელია; მხოლოდ გაუგებრობას შეეძლო ქართული ხელოვნების რენესანსი ამ მწერლებიდან დაწყო. ჩენესანი პირველ ყოვლისა გულისხმობს წარსულის აღდგენას, ქართულად ის აღმოჩინებად ითარგენება. ისტორიული რენესანსი იყო ცდა ანტიური მედინის აღდგენის აქ თუ შედეგი არ არი საინტერესო, ყოველ შემთხვევაში საინტერიას თენდეცია, რადგან ეს აზრი არ მოკვდარა ვიდრე ნიცხებდე. ქართველმა აღმოჩინების მეთაურებმა კი სამუდამო დამარხეს ძეველი საქართველოს ტრადიციები, და უკანასკნელ დრომდე შექმნეს იღებური ტერორი წარსულის წინააღმდეგ. აკაკის და ილიას ის უპირატესობა ქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ხახულობდენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა შეოლამ მიიღო კარიკატურული სახე. და დღეს უიმედოთ გაპირის მოქალაქეობრივი არღანი კაკოფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ელლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას. რესული ხელოვნების მიბაძვა და გავლენა ასე დიდია, რომ ქართული ტეატრის კრიზისშე ლაპარაკებენ; მის დაარსებიდან ჩვენ დღემდე და იდეალად აღებულია „რესერის სამხატვრო თეატრი“, რომლის ნედლი ნატურალიზმი, უკვე მობეზრდა თვითონ რესერს, სადაც ყოველი ცდა ახალი დადგმის თავდება აუცილებელ ფიასკოი, სადაც მხოლოდ ა. ჩეხოვის პროექტის ცალიშვილები გრძნობენ თავს თავისუფლად და გულმოჯერებით სტირიან. თითქო ქართული აქტიორული ბუნება და თეატრალიზაცია ცხოვრების არ გულისხმობდეს ქართულ თეატრის მომავალ ბედს. რესული გავლენა უფრო განმტკიცდა მის შემდეგ რაც ერთად მოვიხადეთ რევოლუციის ცხელება. იყო ჩვენი რევოლუცია ნამდვილი რევოლუცია, როცა ძირიანად ინძრევა ერთი სული, როცა ერთი სული შეირყევა მთელი სილმით? ამის შესახებ არაფერი თქმულა, ჯერ კიდევ დიდია ამაზე ძეველი ცენტურა—ამ შემთხვევაშიც უაღრესი გამოცდა იყო ერთი სულის, აქ პირველად გამოჩნდა მთელი ეფექტობარი რევოლუციის საქმის ეროვნული თვალით ხედვით და აკი ერთი ამის მონაწილეთაგანი, რომელიც სიმღერას იჩემებდა, საშინელი კატასტროფის შემდეგ, რომელიც იმას უფრო ეხებოდა, საქვეყნოდ აღიარებს ცოდვის. რევოლუციის შემდეგ უკველი ძიება ეროვნული სულის და მონბის წინააღმდეგი აქტი იოელება დემოკრატიის ლალატათ. ქართველმა საზოგადოებამ რევოლუციის საქმეში შეიტანა მთელი თავისი ფიცხი სული, ფანატიზმი და არ ტყდებოდა მაშინაც კი, როცა ცველა ხომალდები დაიწვა. რესის ცენტრალურ მთავრობას, რომ ისეთი გამრჯელი აგენტები ყოლოდა საქართველოში, როგორც რესერის მედინი მეტკილებს, ამდენხანს საქართველო არ იქნებოდა, თუმცა არც ეხლა არის ცუდათ საქმე, დემოკრატებს, ამდენხანს საქართველო არ იქნებოდა, თუმცა არც ეხლა არის ცუდათ საქმე, რადგან რესული საქმე და იმპერიალიზმი დემოკრატიული სოლიდარობის ეგიდით უფრო მოსატყუებელი მიზანია...

8.

რასაკეირველია ჯერ კიდევ არ გათავებულა შაბაში პოლიტიკურ ტურების. დემოკრატობა ჯერ კიდევ ითვლება გონებრივ სიღანიმად, მაგრამ ეროვნული ძიება მაინც იმარჯვებს. „უზრდელი კინტოები“, რომელთა კლასიკური აქტრი მოგვცა ნ. ნიკოლაძემ, რომელიც უწინ მესაკეობდენ პოლიტიკურ ცხოვრებას, დღესაც არ ანებებენ თავს პოლიტიკას და მწერლობასაც უწივენ ხელსა, ხოლო როული გამოირკვა და ამაღლდა იმდენად, რომ დადგა საკითხი ივტონმისის; ეს გულისხმობს მორატულ ავტონომიის; ეს გულისხმობს მორატულ ავტონომიის აგრეთვე პიროვნების და მწერლობისთვისაც. ამ შემთხვევაში ეს ფორმულები ერთად წამოაყენა არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც განიცადა თავის თავშე მთელი ტრაგედია მეტრა საუკუნის საქართველოსი. დასამახსოვნელია ის, რომ არჩილ ჯორჯაძე, რომელიც მეტე საუკუნის საქართველოს გამოიიდობით შემნის პიროვნებას. ეს საკითხი ელინიზმის და ბარბაროსობის ძალიან ძეველია, ვიაჩესლავ ივანევს გონია, რომ რესერი უკავშირებდა იმ სახელს, რომელიც გამოდის სიმვოლიზმის შეკოლის მეთაურათ. „იცისფერი ყანწები“ როგორც შეკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს შეოლა

საქართველოსთვის არ არი ახალი. რუსთაველის და ბესიერის შემდეგ მისი შტკიცები თითქოს გაუგებრობა. რასაკირველია ბევრია კიდევ, რაც ჟყოლს აძლევს ახალ ფერს, რაც აღნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვკროვრობთ მეოცე საუკნეში, რომ ნერვები უფრო მგძნობიარე შეიქნა და ქალიქის სული ვარ იგულის მთლიანობას ბუნებისას. ლექსის ტეხნიკაში იქმდი მიაღწია, რომ ანბანებს მისცა საობებით, რომ მთელი რიგი კულტურულ მოღწევეთი ხელოუნების წინ აყრებს ახალ პრაკტიკების, რაც შეძლების დაგვარად გამოხატეს „ყანწებში“ მონაწილეობა. მაგრამ მთავარი დებულებების გამართლება შეიძლება ძველ ქართულ პოეტიკაზე დაყრდნობით. ჩვენ უასის ვეუპირებით ჩვენს ახლობელ წინაპირთა ნაშრომს, რამდენადაც ის არ აქმაყოფილებს, როგორც საზოგადოთ ხელოუნების, ისე ქართული ძველი ხელოუნების მთავარი დამატებით, მაგრამ აქედან კიდევ შორის არ წარსულის არ მიღება. მე წინაწინვე ვგრძინობ კითხვის, მაშინ რა არი ახალი ახალ შეკლაში, თუ უმთავრესი დებულებანი წარსულით მართლდებიან?

ეს კითხვა დაუყენეს უჩანგ სიმეონისტებსაც. ჩვენი პასუხიც ისეთია, როგორც უჩანგი სიმეონისტები:

— ახალი ის არი, რომ ჩვენ მოგვაძე ის, რაც თქვენ გქონდათ გაუფრთხილებლობა დაგვევი წევებით, რომელსაც, რასაკირველია თან ემატება ახალიც, კინ არის დამნაშავე, რომ ქართული მწერლობა ისე გაასიჭურისეს, რომ პორნოგრაფიადოთვლების გრ. რობაჭიძის და ელენე დარიანის ლექსები. ვინარი დამნაშავე, რომ „ყანწების“ შეჩერებას ბედის კაცი, რომელმაც პირველად გაბედა რუსთაველისთვის დაეცემა და რომელის სახელს ხშირად მებობენ მეორე ტრაგიულად ილაზულებული შტერალის სურნებაზე...

ეს არი დამნაშავე, რომ გათამამებული სირაჯები დღეს რყვნიან ქირთულ პოეზიას?

9.

საზოგადოებრივი და ხელოვნების კრიზისი ერთმანეთს გადაეწინა. რუსულ გავლენის ქნა ის, რომ შეიქნა ყიზილბაშური თეორია, სიდაც მტკიცდებოდა რუსეთის კულტურულებულობა საქართველოში და სრულიად შემთხვევით არ იყო, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის დაცუმის საკითხი რევოლუციის მეორე დღეს დაისვა. ბევრი რამ ითქვა მაშინ იმის მიზეზიდ, უმთავრესისთვის, რასაკირველია ყურადღება არ მიუქცივიათ. გაგრძელება იყო ამ საკითხის და იმაზე პასუხი, როცა გრ. რობაჭიძემ ლიქცია წილითხა თსკარ უალიდობზე, არის კორჯებე მის სიკამათო წერილში სწერს.

— ა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ქართულ სიტყვა კამალ მწერლობისთვის უაღმდის შემოქმედებამ? ჩემი აზრი ზოგიერთს პარადოქსად მოეჩერება. უნდა ვსთქვა, რომ დღეს გვესაჭიროვება გაბედული მხატვარი, დიდი თცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თვეი კი გაშუქებული აქც ლრმა და ფარით ახროვნებით.. ჩვენ გვესაჭიროვება, თუ შეიძლება ასე ითქვას სინტერიური სურათი ქართული ცხოვრებისა ამ სინტერიური სურათის შექმნა შეუძლია დიდ სულოვნებას, დიდ თცნებას და, თუ არ გამიშურებით, „მშვენიერ მატეულობასაც“. არის კორჯებე შესაძლებელად მიაჩინა, რომ ხელოვნება სძლებს ეროვნულ პარტიკულიარიზმს, თცნებით ფრთა შესხმული, სიცრუით ალტროთოვნებული რეალურ ცხოვრების შემოქმედებითი შევსება და განმარტება იქნება. იქ სიმბოკურო, რატომ უნდა ატარებდეს მხატვარი დიდ სევდას და რატომ უნდა იყოს ფარით და რამა ასროვნებით გაშუქებული თავით. ეს გამოტანაჯლი აზრებია და შემდეგ ისხსნებიან. რასაკირველია, ხოგ კი არა ბევრსაც ეჩვენა „მშვენიერი ტუშილის“ დაცვა პარადოქსად, მაგრამ იმჯვრი დაუკრიცხა საკითხის მაინც გულისხმობს ერთგვარ ჯაფო-ტრეს, რომელშიც იშლება ჩვენი მწერლობა, ხოლო დღეს იშევდა ძირიანად შეცვლა ქართული ასროვნების, სიუკუნიებით დამიტოლური წარსული ცოცხლდება და საქართველოს სახელმწიფო ურალიკი დეგბიან, დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაისხდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ კუახლოვდებით წარსულს და ინაკურება ქართული იდეა. საქართველოს ხელოვნების მომავლიც ამ იდეის გამშლით გაიზომება.

უნდა მოხდეს ეროვნული აღდგომა. მაგრამ აღდგომი არა თრიარი ელლინიზმზე ამდგორი ახალი საბერძნებით სიკეთისებ უარესია, საქართველოს კოველთვის ერთია ცოცხალ ძლის მკედარი ლომი და მიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომი ლომის ძველი ქართული იდეით. მაშინ არ იქნება საჭირო „მშვენიერი ტუშილი“, რადგან მროვნული აღდგომა იქნება დიდი სინამდვილე, ქართველი მხატვარიც ნახევს მაშინ თავის მდებნების დაქარგულ სულს, ნახევს და გაიხმოვბს, ეს იქნება უდიდესი სასწოლი და ეს სასწოლი იქნება...